მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართული ღონისძიებების ჩამონათვალი

(2019 წლის II კვარტალი)

1. საგზაო უსაფრთხოების კამპანია „მეტი სიცოცხლისთვის.
   - კამპანიის გახსნა – შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო უსაფრთხოების კამპანია „მეტი სიცოცხლისთვის“ დაიწყო 2019 წლის 16 აპრილს. გახსნის ღონისძიებაზე, შინაგან საქმეთა მინისტრმა კამპანია წარუდგინა და 2019 წლის სამოქმედო გეგმა გააცნო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, მედიას, სტუდენტებს, კერძო სექტორსა და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს;
   - კომუნიკაციის სტრატეგიად აირჩია ნეგატიური ტიპის კომუნიკაცია, რომელის შემადგენელი ნაწილი იყო ე.წ. პარტიზანული მარკეტინგი რომელზე დაყრდნობითაც კამპანია „მეტი სიცოცხლისთვის“ დაიწყო საქართველოს მასშტაბით ამოტრიალებული დამტვრეული მანქანების კონსტრუქციების განთავსებით. კამპანიის ძირითად სლოგანია - „ნუ ამოატრიალებ საკუთარ ცხოვრებას“;
   - კამპანიის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ნეგატიური კომუნიკაცია, რათა კამპანიის სეგმენტში, დროის მოკლე მონაკვეთში მოგვეხდინა დამოკიდებულებების და ქცევის ცვლილება.
   - საგზაო უსაფრთხოების კამპანიის „მეტი სიცოცხლისთვის“ პირველი ეტაპის ფარგლებში დამზადდა და 6 ყველაზე რეიტინგულ ტელეარხზე განთავსდა 4 ვიდეორგოლი, რომელიც 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა მინიმუმ ერთხელ ნახა, ხოლო 1,2 მილიონმა ადამიანმა არანაკლებ 4-ჯერ. სოციალურ ქსელში განთავსდა 5 ვიდეო, 5 გრაფიკული რგოლი და საგზაო უსაფრთხოების თემატიკაზე შექმნილი ბანერები და პოსტები - წვდომა - სოციალური ქსელის 827 500 მომხმარებელი.
   - კამპანიის ფარგლებში გამოყენებულ იქნა გარე რეკლამა-ბანერების სახით, რომელმაც მოიცვა მთელი საქართველო, თუმცა ძირითადი კონცენტრაცია გაკეთდა თბილისზე ავტომობილების ჭარბი რაოდენობიდან გამომდინარე.
   - კამპანიის ფარგლებში, მიზანმიმართული საკომუნიკაციო პოლიტიკის გათვალისწინებით, აუდიო რგოლი განთავსდა რადიოში. კამპანიისთვის საკვანძოდ მნიშვნელოვანია ეს სეგმენტი, ვინაიდან რადიომსმენელები სწორედ მანქანის მართვისას ისმენენ იმ მესიჯებს, რომელიც მათ უსაფრთხო და კულტურული მართვისკენ მოუწოდებს;
   - კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არხია სოციალური ქსელი. კამპანიისთვის შეიქმნა Facebook გვერდი, სადაც პერიოდულად ქვეყნდება მძღოლებისთვის სასარგებლო ინფორმაცია, ვიდეო რგოლები და სტატისტიკა. გვერდი არის ინტერაქტიული და მოხმარებელს აქვს საშუალება დასვას კითხვები საგზაო უსაფრთხოების თემებთან დაკავშირებით;
   - ასევე შეიქმნა ვებგვერდი www.formore.life, რომლის მეშვეობით ხდება საზოგადოების ინფორმირება კამპანიასთან დაკავშირებული სიახლეებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საგზაო უსაფრთხოების კუთხით გატარებული რეფორმების შესახებ;

- ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - კამპანიის „მეტი სიცოცხლისთვის“ ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1-ელ ივნისს მოზარდებს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე უმასპინძლა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ბავშვთა ცნობიერების ამაღლებას საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების თემატური სივრცეები;
- კომუნიკაციის ნაწილში ჩაერთვნენ ე.წ. აზრის ლიდერები, რომლებიც მხარს უჭერდნენ კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს;
- მედიასთან კომუნიკაციის ნაწილში დამზადდა სტატიები ბეჭდურ და ონლაინ გამოცემებში;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობის/სატელევიზიო ინტერვიუების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 32;
- გავრცელდა საინფორმაციო მოკლე ტექსტური შეტყობინებები მძღოლებისთვის;
- ჩატარდა უწყებათაშორისი შეხვედრები და ორმხრივი შეხვედრები კერძო სექტორის წარმომადგენლებთან;
- ცნობიერების ამაღლების კუთხით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სკოლებსა და უნივერსიტეტებში(ჯამში 15 შეხვედრა);
- კამპანიის ფარგლებში საგზაო უსაფრთხოების კუთხით ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა სამინისტროს წარმომადგენლების 14 საინფორმაციო შეხვედრა თბილისისა და რეგიონების მოსახლეობასთან (შეხვედრაზე დამსწრეთა საერთო რაოდენობა 400-ზე მეტი იყო).

- 2019 წლის II კვარტალში მართლწესრიგის ოფიცრებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს თბილისის 11 საჯარო სკოლასა და 7 უნივერსიტეტში. შეხვედრები მიზნად ისახავდა მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქცია მოვალეობების გაცნობასა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას მართლწესრიგისა და დანაშაულის პრევენციის კუთხით.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტისა და საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის(GDSD) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიმართა თბილისის 162-ე სკოლის 50-მდე მოსწავლისა და მართლწესრიგის ოფიცრების ერთობლივი შეხვედრა ჰარვარდის პოლიციის უფროსთან. შეხვედრა მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და დანაშაულის პრევენციის კუთხით. ღონისძიების ფარგლებში სპორტული აქტივობები გაიმართა მართლწესრიგის ოფიცრებსა და სკოლის მოსწავლეებს შორის.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის კოორდინაციითა და საერთაშორისო ორგანიზაცია PH- International-ის ორგანიზებით, „სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფში

33 მოსწავლის ვიზიტი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. აღნიშნული ვიზიტი მიზნად ისახავდა პროგრამის მონაწილე ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტების საქმიანობის, სამინისტროში მიმდინარე რეფორმებისა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით (18-19 ივნისი).

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლესთან, რომელთაც გააცნეს დეპარტამენტის ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. ასევე, ესაუბრებოდნენ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო სერვისების დანიშნულებასა და ფუნქციებზე, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობასა და არსებულ ინსტრუმენტებზე.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ მარნეულის, ახალქალაქის, ახალციხისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში, სადაც ადგილობრივ ახალგაზრდებს ესაუბრნენ არასრულწლოვანთა იძულებით ქორწინებაზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაზე, ოჯახში ძალადობასა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტების შესახებ. აღნიშნული შეხვედრების მიზანი იყო ახალგაზრდებში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და მათი ინფორმირება სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინიციატივითა და გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით, დაიწყო 18 დღიანი კამპანია არასრულწლოვანთა ქორწინების წინააღმდეგ - „ნუ წაართმევ ბავშვობას“(17 ივნისი). კამპანია მიზნად ისახავს, ნაადრევი ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრასა და ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა მარნეულისა და ლაგოდეხის მოსახლეობასთან იძულებითი ქორწინებასა და არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებზე.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი:

- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელთა ვიზიტები სკოლებში, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებისა და მათი სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე ინფორმირების მიზნით;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საინფორმაციო კამპანია დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საინფორმაციო კამპანია აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია

- საინფორმაციო შეხვედრა სამტრედიის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან სანაპირო დაცვის ბაზაზე;
- საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან სანაპირო დაცვის ბაზაზე;
- საინფორმაციო შეხვედრა აჭარის რეგიონის ჟურნალისტებთან საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრში;
- საინფორმაციო შეხვედრა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მოსწავლეებთან სანაპირო დაცვის ბაზაზე;
- საინფორმაციო შეხვედრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აშშ-ს სანაპირო დაცვის პროგრამასთან დაკავშირებით;
- საინფორმაციო შეხვედრა ბარისახოს სამმართველოში ადგილობრივი სკოლისა და პანსიონის მოსწავლეებთან.

სტრატეგიული მილსადენების დეპარტამენტი

- 21 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ბაზაზე 19 მოსწავლეს უმასპინძლა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოსწავლეებს დეპარტამენტის დანიშნულება და მისი მუშაობის სპეციფიკა გააცნეს. მოსწავლეებისთვის ბაზაზე მოეწყო საჩვენებელი ვარჯიში. ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება და მათი ინფორმირება დანაშაულის პრევენციის, მართლწესრიგის და უსაფრთხოების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

- **გარდაბანსა და მარნეულში მცხოვრები ახალგაზრდების ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში** - აკადემიის წარმომადგენლებმა სტუმრებს სასწავლო პროცესი და პროგრამები გააცნეს. ასევე, ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: ოჯახში ძალადობა, კიბერდანაშაული, ნაადრევი ქორწინება, ბულინგი და ა.შ. (22 ივნისი).
- **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ვიზიტი აკადემიაში** - სტუდენტები გაეცნენ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და იარაღის გამოყენების წესებს, კრიმინალისტიკურ ლაბორატორიასა და საგამოძიებო და სამართალდამცავთა საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
- **თბილისის 175- და 22-ე სკოლის მოსწავლეების ვიზიტი აკადემიაში** - აკადემიის წარმომადგენლებმა სკოლის მოსწავლეებს სასწავლო პროცესი და პროგრამები გააცნეს. ასევე, მიაწოდეს ინფორმაცია სამართალდამცველების ზოგად საქმიანობასა და საგამოძიებო პროცესებთან დაკავშირებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერიაში" მძღოლთა ტესტირების საერთაშორისო ორგანიზაცია CIECA-ს 51-ე საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლა, რომელსაც 33-ზე მეტი ქვეყნის 115 დელეგატი დაესწრო. 2019 წლის 5-8 ივნისს გამართული კონგრესის თემა იყო - "თანამედროვე ტექნოლოგიები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის".

112

- **სკოლის მოსწავლეები სტუმრად 112-ში** - „112"-ს, პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდის" ფარგლებში, ბოლო სამი თვის განმავლობაში საჯარო და კერძო სკოლების 400-მდე მოსწავლე ეწვია.
- **სტუდენტები სტუმრად 112-ში** - 112-ის თბილისის ცენტრს ახალგაზრდული ფორუმის "YouthSpeak Forum 19"-ის ფარგლებში სტუდენტები ესტუმრნენ. ასევე, განხორციელდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რაინლანდ-პფალცის მიწის პოლიციის აკადემიის სტუდენტების ვიზიტი
- **ღია კარის დღე სტუდენტებისთვის** - გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის ამაღლების მიზნით. 112-ის წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს საქართველოში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებმა კი სტუდენტებს პირველი გადაუდებელი დახმარების შესახებ საბაზისო კურსი ჩაუტარეს;
- **მდგრადი განვითარების ფესტივალი ამბროლაურში-** 112-ის წარმომადგენლებმა მოქალაქეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს 112-ის მობილური აპლიკაციის ფუნქციონალის შესახებ.
- **ბლოგი-** ქვეყნდება 112-ის Facebook გვერდზე და იყოფა კატეგორიებად: 112 გისმენთ და 112 გირჩევთ. პირველი მათგანი მიზნად ისახავს, მოქალაქეებს გააცნოს ის სირთულეები, რომლებთან გამკლავება უწევთ ოპერატორებს ყოველდღიურად, ხოლო მეორე კატეგორიის მიზანია, 112-ის დადებითი და მზრუნველი იმიჯის შექმნა.
- **1-ლი ივნისი 112-ში** - „112-ის გმირის" წოდება მიენიჭა 4 ბავშვს, ხოლო 5 ბავშვი მადლობის სიგელებით დაჯილდოვდა. პროექტი ხორციელდება 2016 წლიდან და ყოველწლიურად ჯილდოვდებიან ის მოზარდები, რომლებმაც უმაღლესი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს და კარგად იციან თუ როგორ მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში.

26 მაისი - დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

- 26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ , დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას . ქ. ზუგდიდში უმასპინძლა. 2019 წლის დამოუკიდებლობის დღე მიეძღვნა ცოდნის მნიშვნელობასა და მის გაზიარებას.
  ღონისძიებები გაიმართა ერთიანი საქართველოს კონცეფციით. სპეციალურად მოწყობილ პავილიონებსა და საგამოფენო სივრცეებში დამთვალიერებელს საშუალება

ჰქონდა კიდევ ერთხელ გადაევლო თვალი ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიისთვის და გაცნობოდა იმ გმირებს, რომლებმაც ერთიანი საქართველოს ისტორიაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს. პავილიონები რამდენიმე თემატიკის მიხედვით იყო წარმოდგენილი: ერთიანი საქართველოს დერეფანი, ხელნაწერების პავილიონი, სტენდები ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შესახებ და ა.შ. ასევე, წარმოდგენილი იყო ერთიანი სივრცე სამინისტროს დანაყოფებისთვის.
ამასთან, ღონისძიების ფარგლებში, სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებს.

31 მაისი - პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

31 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელის პროფესიული დღე ლისის ტბაზე, საზეიმო ღონისძიებით აღნიშნა. ღონისძიებაზე სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულმა დანაყოფმა წარმოადგინა პირად შემადგენლობა სპეცტექნიკა და სპეციალური აღჭურვილობა.
საზეიმო ღონისძიების ფარგლებში პოლიციელების ოჯახის წევრებისა და სტუმრებისთვის მოეწყო თემატური ინსტალაციები, ისტორიული გამოფენები, საბავშვო და მოსასვენებელი სივრცეები.
ღონისძიების სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ადგილზე გაცნობოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის საქმიანობას.